

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

“ელლის ენდ მინერალს ინტერნეიშნალ”

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში..	4
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	10
ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში	17
რისკის მართვა.....	22
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	25
წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები.....	26
სასამართლო დავები	27
საწარმოს უწყვეტობის განხილვა.....	27
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ელოის ენდ მინერალს ინტერნეიშენალ-ის დამფუძნებელს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს “**ელოის ენდ მინერალს ინტერნეიშენალ**”-ის (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2023 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიას ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში**“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიასაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „**პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი**“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „**ელოის ენდ მინერალს ინტერნეიშენალ**“-ის (შემდგომში - კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიას ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიას მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიას მუშაობის უნარის შეფასებაზე.
ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიას გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა კომპანიას შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტის პროცესი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშში შესულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობით ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

ეკა გრიგალაშვილი

10 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო



WE ARE AN INDEPENDENT MEMBER OF
THE GLOBAL ADVISORY
AND ACCOUNTING NETWORK

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ. N2
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 032 2 47 09 00
ე-ფოსტა: info@fmg.ge

Financial Management Group LTD
Dolidze Str. #2
Tbilisi, Georgia
Tel: (995) 032 2 47 09 00
E-mail: info@fmg.ge

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშში შესულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობით ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შესაბამეა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი
კა გრეგოიშვილი
10 სექტემბერი 2024
თბილისი, საქართველო

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	279 356	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		279 356	-
მარაგები	6	641 939	567 317
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2 462 703	8 365 441
წინასწარ გადახდილი გადასახადები	10	5 899	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	178 655	2 029 818
სულ მოკლევადიანი აქტივები		3 289 196	10 962 576
სულ აქტივები		3 568 553	10 962 576
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		454 064	1 357 235
სულ საკუთარი კაპიტალი		454 064	1 357 235
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	3 114 488	9 525 256
საგადასახადო ვალდებულებები	10	-	80 085
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3 114 488	9 605 341
სულ ვალდებულებები		3 114 488	9 605 341
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3 568 553	10 962 576

დირექტორი

10 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

შპს ელოს ენდ მინერალს ინტერნეიშენალ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	279 356	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		279 356	-
მარაგები	6	641 939	567 317
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2 462 703	8 365 441
წინასწარ გადახდილი გადასახადები	10	5 899	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	178 655	2 029 818
სულ მოკლევადიანი აქტივები		3 289 196	10 962 576
სულ აქტივები		3 568 553	10 962 576
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		454 064	1 357 235
სულ საკუთარი კაპიტალი		454 064	1 357 235
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	3 114 488	9 525 256
საგადასახადო ვალდებულებები	10	-	80 085
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3 114 488	9 605 341
სულ ვალდებულებები		3 114 488	9 605 341
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3 568 553	10 962 576

დირექტორი

10 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო



შპს ელვის ენდ მინერალს ინტერნეიშენალ
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	11	4 653 703	20 706 579
ამონაგების თვითღირებულება	12	(4 347 612)	(16 813 327)
საერთო მოგება/(ზარალი)		306 091	3 893 252
პერსონალის შენახვის ხარჯები	13	(349 966)	(641 786)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები		(12 071)	-
სხვა საერთო ხარჯები	14	(124 807)	(48 955)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(180 753)	3 202 511
ფინანსური ხარჯები, წმინდა	15	(8 736)	(29 177)
გაუფასურებასთან დაკავშირებული ხარჯი	16	(304 184)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	17	91 893	(135 726)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(401 781)	3 037 608
მოგების გადასახადის ხარჯი		(75 839)	(353 725)
წლის მოგება/(ზარალი)		(477 620)	2 683 883

დირექტორი

10 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

შპს ელოის ენდ მინერალს ინტერნეიშენალ
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	11	4 653 703	20 706 579
ამონაგების თვითღირებულება	12	(4 347 612)	(16 813 327)
საერთო მოგება/(ზარალი)		306 091	3 893 252
პერსონალის შენახვის ხარჯები	13	(349 966)	(641 786)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები		(12 071)	-
სხვა საერთო ხარჯები	14	(124 807)	(48 955)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(180 753)	3 202 511
ფინანსური ხარჯები, წმინდა	15	(8 736)	(29 177)
გაუფასურებასთან დაკავშირებული ხარჯი	16	(304 184)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	17	91 893	(135 726)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(401 781)	3 037 608
მოგების გადასახადის ხარჯი		(75 839)	(353 725)
წლის მოგება/(ზარალი)		(477 620)	2 683 883

დირექტორი

10 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო



შპს ელოს ენდ მინერალს ინტერნეიშენალ
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	გაუნაწილებელი მოგება /(აკუმულირებული ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
31 დეკემბერი 2021	677 794	677 794
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	2 683 883	2 683 883
დივიდენდები	(2 004 442)	(2 004 442)
31 დეკემბერი 2022	1 357 235	1 357 235
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	(477 620)	(477 620)
დივიდენდები	(425 550)	(425 550)
31 დეკემბერი 2023	454 064	454 064

დირექტორი

10 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო


შპს ელოს ენდ მინერალს ინტერნეიშენალ
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	გაუნაწილებელი მოგება /(აკუმულირებული ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
31 დეკემბერი 2021	677 794	677 794
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი) დივიდენდები	2 683 883 (2 004 442)	2 683 883 (2 004 442)
31 დეკემბერი 2022	1 357 235	1 357 235
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი) დივიდენდები	(477 620) (425 550)	(477 620) (425 550)
31 დეკემბერი 2023	454 064	454 064

დირექტორი

10 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო



შპს ელვის ენდ მინერალს ინტერნეიშენალ
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2023	2022
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება გადასახდებამდე	(401 781)	3 037 608
კორექტირება:		
მოგების გადასახადი	(75 839)	(353 725)
ცვეთა და ამორტიზაცია	12 071	-
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	8 736	29 177
ანარიცხების დარიცხვა/(ამოტრიალება)	304 184	-
სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	(152 628)	2 713 060
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/კლება	4 706 681	(6 917 278)
მარაგების ზრდა/კლება	(74 622)	(567 317)
წინასწარ გადახდილი გადასახადების ზრდა/კლება	(5 898)	-
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/კლება	(80 085)	38 361
სავაჭრო და სხვა გადასახდელების ზრდა/(კლება)	(5 473 675)	8 674 525
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ნაღდი ფული	(1 080 229)	3 941 351
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(291 428)	-
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(291 428)	-
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდები	(425 550)	(2 004 442)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული	(425 550)	(2 004 442)
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(1 797 207)	1 936 909
საკურსო სხვაობის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნამთზე	(53 956)	(164 323)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2 029 818	257 232
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	178 655	2 029 818

დირექტორი

10 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

შპს ელოს ენდ მინერალს ინტერნეიშენალ
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2023	2022
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება გადასახადებამდე	(401 781)	3 037 608
კორექტირება:		
მოგების გადასახადი	(75 839)	(353 725)
ცვთა და ამორტიზაცია	12 071	-
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	8 736	29 177
ანარიცხების დარიცხვა/(ამოტრიალება)	304 184	-
სახსრების შემოღინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	(152 628)	2 713 060
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/კლება	4 706 681	(6 917 278)
მარაგების ზრდა/კლება	(74 622)	(567 317)
წინასწარ გადახდილი გადასახადების ზრდა/კლება	(5 898)	-
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/კლება	(80 085)	38 361
სავაჭრო და სხვა გადასახდელების ზრდა/(კლება)	(5 473 675)	8 674 525
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ნაღდი ფული	(1 080 229)	3 941 351
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(291 428)	-
წმინდა ფულადი სახსრების გაღინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(291 428)	-
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდები	(425 550)	(2 004 442)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული	(425 550)	(2 004 442)
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(1 797 207)	1 936 909
საკურსო სხვაობის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნაშთზე	(53 956)	(164 323)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2 029 818	257 232
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	178 655	2 029 818

დირექტორი

10 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

შპს ელოს ენდ მინერალს ინტერნეიშენალ (ს/კ 405343294) წარმოადგენს 2019 წლის 5 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომლის ძირითადი საქმიანობა მიმდინარე პერიოდში ფეროშენადნობების წარმოებისთვის, ასევე მეტალურგიული ქარხნებისთვის საჭირო ნედლეულის შეძენა/რეალიზაციაა.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია თამაზ ალანია (პ/ნ 01011010489).

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი - თამაზ ალანია (პ/ნ 01011010489).

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქუჩა N 12, ბლოკი X, სართული N 10, ბინა N16- 48.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ზასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს *კომპანიას* ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების საფუძველზე იმის დაშვებით, რომ *კომპანია* განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. *კომპანიის* ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს აქვთ სურვილი განავითარონ კომპანია საქართველოში. *კომპანიას* ხელმძღვანელობას არ აქვს არსებითი უარყოფითი შედეგების მოლოდინი საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, *კომპანიას* საქმიანობის სპეციფიური ხასიათიდან გამომდინარე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიასთვის.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება/ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/1 გირვანკა სტერლინგი	3.4228	3.2581
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ

ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL).

კომპანია ფლობს ორი ტიპის ფინანსურ აქტივის, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათ ექვივალენტი. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის და სადეპოზიტო ფულადი სახსრებისათვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები და დეპოზიტზე განთავსებული ფულადი სახსრები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის

სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც *კომპანიამ* გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება ან/და მიაწოდა საქონელი, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიას ბალანსზე იდენტიფიცირებული უიმედო მოთხოვნები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული ნაწილი დარეზერვებულია გამოყენებული სადრიცხო პოლიტიკის შესაბამისად და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიას საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფად ბრუნვად მარაგებს. საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები წარმოადგენს კომპანიას საოპერაციო საქმიანობისათვის საჭირო მარაგებს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება და მისი ნაშთის არ არსებობა შესაძლოა გახდეს მიწოდების შეზღუდვის საფუძველი. *კომპანიას* მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული უბრუნავი მარაგების ანალიზს და მის დარეზერვებას.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ცვეთა

მიწას და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. გადაფასებული მიწებისა და შენობა-ნაგებობების ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში. გადაფასებული ქონების შემდგომი გაყიდვის ან ჩამოწერის შემთხვევაში, გადაფასების რეზერვში დარჩენილი შესაბამისი ნაშთი პირდაპირ გადადის გაუნაწილებელ მოგებაში. სხვა ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
შენობები	30 – 40
კომპიუტერული და სხვა ტექნიკა	5 – 10
სპეციალური ინვენტარი	5 – 10
სატრანსპორტო საშუალებები	5 – 10
ავეჯი და სხვა მოწყობილობა	5 – 10
მანქანა-დანადგარები	5 – 10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსი მიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას მიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიას ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად.

ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიას წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიას მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიას კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიას მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიას საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიას წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

ხარჯები

კომპანია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც კომპანიას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს

მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ.

ნებისმიერი ცვლილება ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიას ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

- **კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა** 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ (შესწორება სტანდარტში ფასს 16).

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ (ბასსს) გამოსცა „კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ (შესწორება სტანდარტში ფასს 16)“, რომელიც ერთი წლით ახანგრძლივებს 2020 წლის მაისის შესწორების მოქმედებას. ამ შესწორებით მოიჯარეს უფლება ჰქონდა, თავად გადაეწყვიტა, იყო თუ არა კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია.

ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები:

შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2023 წლის 1 იანვრიდან:

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რომლითაც კომპანიებს მოეთხოვათ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია (და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა). შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არსებითად ჩაითვლება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ გაგებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული სხვა არსებითი ინფორმაციის. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, თუ რა ინფორმაცია ჩაითვლება არსებითად საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ხდიდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

გაურკვეველს. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ასევე შეიცვალა ფასს-ის პრაქტიკული დებულება 2 „არსებითობის განსჯის განხორციელება“, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ).

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 12 „მოგების გადასახადები“ - შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისი).

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიასა და კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები:

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი). თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს ელოის ენდ მინერალს ინტერნეიშენალ
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 5 - ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 31.12.2021	-	-	-	-	-	-
დამატება						-
გასვლა						-
ნაშთი 31.12.2022	-	-	-	-	-	-
დამატება					291 428	291 428
გასვლა						-
ნაშთი 31.12.2023	-	-	-	-	291 428	291 428
აკუმულირებული ცვეთა						
ნაშთი 31.12.2021	-	-	-	-	-	-
წლის დარიცხვა						-
გასულის ცვეთა (შემცირება)						-
ნაშთი 31.12.2022	-	-	-	-	-	-
წლის დარიცხვა					(12 071)	(12 071)
გასულის ცვეთა (შემცირება)						-
ნაშთი 31.12.2023	-	-	-	-	(12 071)	(12 071)
წმინდა საბალანსო ღირებულებები						-
ნაშთი 31.12.2022	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2023	-	-	-	-	279 356	279 356

შენიშვნა 6 - მარაგები

კომპანიის მარაგები მოიცავს მხოლოდ სავაჭრო მიზნებისთვის განკუთვნილ საქონელს ფერო სილიკომანგანუმს.

შენიშვნა 7 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოიცავდა:

	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2 673 246	8 342 482
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	93 641	18 858
გაუფასურების რეზერვი	(304 184)	-
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	4 101
სულ	2 462 703	8 365 441

* კომპანიას 1 251 520 ლარის სავაჭრო მოთხოვნებზე გააჩნია შედგენილი გრაფიკი, რომლის დაფარვის ვადა განსაზღვრულია ანგარიშგების წარდგენის შემდგომი პერიოდით.

შენიშვნა 8 - ფული და ფულის ექვივალენტები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავდა:

	31.12.2023	31.12.2022
ფული საბანკო ანგარიშებზე	178 655	2 029 818
სულ	178 655	2 029 818

შენიშვნა 9 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, მომსახურებიდან და მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები შედგება:

	31.12.2023	31.12.2022
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	3 114 488	9 494 466
მიღებული ავანსები	-	30 790
სულ	3 114 488	9 525 256

შენიშვნა 10 - საგადასახადო ვალდებულება / საგადასახადო აქტივი

საგადასახადო ვალდებულება / საგადასახადო აქტივი მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით.

შენიშვნა 11 - ამონაგები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის ამონაგები მოიცავდა:

	2023	2022
შემოსავლი ადგილობრივი	2 133 542	18 453 155
შემოსავალი ექსპორტიდან	2 520 161	1 132 008
შემოსავალი რეექსპორტიდან	-	1 052 383
შემოსავალი საშუამავლო მომსახურებიდან	-	69 033
სულ	4 653 703	20 706 579

შენიშვნა 12 - ამონაგების თვითღირებულება

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის ამონაგების თვითღირებულება მოიცავდა:

	2023	2022
გაყიდული საქონელი	4 248 535	16 580 156
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	53 121	129 611
აგენტის მომსახურება	43 934	75 522
სხვა ხარჯები	2 023	28 038
სულ	4 347 612	16 813 327

შენიშვნა 13 - პერსონალის შენახვის ხარჯები

პერსონალის შენახვის ხარჯები მოიცავს დასაქმებულებზე გადახდილ შრომის ანაზღაურებას.

შენიშვნა 14 - სხვა საერთო ხარჯები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიას სხვა საოპერაციო ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
იჯარის ხარჯი	4 344	7 220
ბანკის საკომისიო	1 623	8 154
საწვავის ხარჯი	15 317	19 651
საკონსულტაციო ხარჯები	62 563	2 055
მომსახურების ხარჯი	947	3 050
წარმომადგენლობითი ხარჯი	6 524	7 123
დაზღვევა	5 860	-
ძირ. საშ. მიმდინარე ექსპლოატაციის ხარჯი	16 639	-
მივლინება	4 543	-
სხვა საგადასახადო ხარჯი	1 397	-
სხვა საერთო ხარჯი	5 050	1 702
სულ	124 807	48 955

შენიშვნა 15 - ფინანსური ხარჯი, წმინდა

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფინანსური ხარჯი, წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
კურსთაშორის სხვაობის შედეგი	(8 736)	(29 177)
სულ	(8 736)	(29 177)

შენიშვნა 16 - გაუფასურებასთან დაკავშირებული ხარჯი

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის გაუფასურებასთან დაკავშირებული ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	304 184	-
სულ	304 184	-

შენიშვნა 17 - სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები) მოიცავდა:

	2023	2022
დებიტორული დავალიანების ჩამოწრა	-	(128 301)
საქველმოქმედო ხარჯი	-	(7 000)
სასამართლო ხარჯების ანაზღაურება	42 180	-
შემოსავალი პირგასამტეხლოდან	51 172	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	(1 459)	(425)
სულ	91 893	(135 726)

რისკის მართვა

კომპანიას საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია კომპანიას წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიას აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება

საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები რიგ შემთხვევებში არ არის შესაბამისი საკრედიტო რისკების მინიმალიზაციისათვის, რის გამოც წამოიქმნება უიმედო მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე კომპანიამ დანაკარგების რეზერვის გამოსათვლელად გამოიყენა ფასს 9-ით

გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. კომპანია ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადაგადაცდილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით. შესაბამისად, ამ აქტივების საკრედიტო რისკის პროფილი წარმოდგენილია რეზერვების მატრიცით ვადაგადაცდილების სტატუსის საფუძველზე.

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 453 899	8 342 482
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	178 655	2 029 818
სულ საკრედიტო რისკი	2 632 554	10 372 300

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიას შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიას საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

2023 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივები:			
	3 -12 თვემდე	12 თვეზე მეტი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	178 655	-	178 655
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 453 899	-	2 453 899
სულ	2 632 554	-	2 632 554

ფინანსური ვალდებულებები:			
--------------------------	--	--	--

შპს ელოს ენდ მინერალს ინტერნეიშენალ
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	3 -12 თვემდე	12 თვეზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3 114 488	-	3 114 488
სულ	3 114 488	-	3 114 488
ლიკვიდობის დეფიციტი	(481 934)	-	(481 934)
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	(481 934)	-	-

2022 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივები:

	3 -12 თვემდე	12 თვეზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	2 029 818	-	2 029 818
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5 845 710	2 496 772	8 342 482
სულ	7 875 528	2 496 772	10 372 300

ფინანსური ვალდებულებები:

	3 -12 თვემდე	12 თვეზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9 494 466	-	9 494 466
სულ	9 494 466	-	9 494 466
ლიკვიდობის დეფიციტი	(1 618 938)	2 496 772	877 834
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	(1 618 938)	2 496 772	-

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში კომპანია ფლობს უცხოურ ვალუტაში აღრიცხულ სასესხო ვალდებულებას. ასევე კომპანია მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. ვინაიდან კომპანიას მარაგების არსებითი ნაწილი შეძენილია უცხოურ ვალუტაში და პერიოდის ბოლოს კომპანიას ვალდებულებების არსებითი ნაწილი მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ ვალდებულებებს.

მენეჯმენტის პოზიციით სავალუტო სხვაობის დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია მოგების მარჟის გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებითობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2023 წლის 31 დეკემბერს:

	აშშ დოლარი USD	ევრო EUR	რუბლი RUB	ლარი GEL	სულ Total
ფინანსური აქტივები:	ლარი/GEL	ლარი/GEL	ლარი/GEL	ლარი/GEL	ლარი/GEL
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	57 015	-	-	2 396 884	2 453 899
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	53 103	13 544	-	112 008	178 655
	110 118	13 544	-	2 508 891	2 632 554
ფინანსური ვალდებულებები:					
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3 111 869	-	-	2 619	3 114 488
	3 111 869	-	-	2 619	3 114 488
წმინდა სავალუტო პოზიცია	(3 001 751)	13 544	-	2 506 272	(481 934)

2022 წლის 31 დეკემბერს:

	აშშ დოლარი USD	ევრო EUR	რუბლი RUB	ლარი GEL	სულ Total
<u>ფინანსური აქტივები:</u>	ლარი/GEL	ლარი/GEL	ლარი/GEL	ლარი/GEL	ლარი/GEL
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	295 491	-	-	8 046 991	8 342 482
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 095 581	13 131	21 539	899 567	2 029 818
	1 391 072	13 131	21 539	8 946 558	10 372 300
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>					
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9 493 026	-	-	1 440	9 494 466
	9 493 026	-	-	1 440	9 494 466
წმინდა სავალუტო პოზიცია	(8 101 954)	13 131	21 539	8 945 118	877 834

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში) მინუს ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში პლუს წმინდა ვალი.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული და ფულის ეკვივალენტები	(178 655)	(2 029 818)
სულ ფულადი სახსრები	(178 655)	(2 029 818)
სულ კაპიტალი	(797 455)	1 357 235
ფულის თანაფარდობა კაპიტალთან	22%	-150%

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

შპს ელოს ენდ მინერალს ინტერნეიშენალ
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან 2023 და 2022 წლების განმავლობაში განხორციელებული ბრუნვები და 31 დეკემბრის ნაშთები იხილეთ ქვემოთ:

2023 წლის 31 დეკემბერი

	მესაკუთრეები	მთავარი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
გაყიდვები	-	-	238 925
შესყიდვები	-	1 031	2 247 226
გამოცხადებული დივიდენდები	(425 551)	-	-
გადახდილი დივიდენდები	(425 551)	-	-
სახელფასო ხარჯები	-	87 500	-
გადახდილი ხელფასები	-	87 500	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	2 258

2022 წლის 31 დეკემბერი

	მესაკუთრეები	მთავარი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
გაყიდვები	-	-	3 344 814
შესყიდვები	-	2 250	443 098
გამოცხადებული დივიდენდები	(2 004 442)	-	-
გადახდილი დივიდენდები	(2 004 442)	-	-
სახელფასო ხარჯები	-	162 500	-
გადახდილი ხელფასები	-	162 500	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	1 637 438

წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები

2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გასწორდა 2022 წლის შესადარისი პერიოდის ინფორმაცია. შესადარისი ინფორმაციის შესწორება მოხდა კომპანიის ოპერაციებიდან გამომდინარე. მოხდა გარკვეული ხარჯების კლასიფიკაციის შეცვლა, რამაც გამოიწვია, ხარჯების მუხლებში ცვლილება და 2022 წლის გაუნაწილებელ მოგებაზე არ ჰქონია გავლენა.

შპს ელვის ენდ მინერალს ინტერნეშნალ
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2022 პირვანდელი	რეკლასიფიკაცია	2022 შეცვლილი
სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლი			
პერსონალის შენახვის ხარჯები	630 183	11 603	641 786
სხვა საერთო ხარჯები	60 558	(11 603)	48 955
ფინანსური ხარჯები წმინდა	-	29 177	29 177
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	164 903	(29 177)	135 726

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ორგანიზაციის მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას მიმდინარე პერიოდში სასამართლო დავა არ აქვს

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიას ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიას უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიას ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ხელმძღვანელობა არ მოელის არსებით უარყოფით გავლენას საწარმოს ფუნქციონირებაზე. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას. თუმცა ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომელთა დაფარვის ვადები განსაზღვრულია ანგარიშგების წარდგენის შემდგომი პერიოდით, ჯამურად მსგავსი სავაჭრო მოთხოვნები შეადგენს 1 251 520 ლარს.

შპს ელოის ენდ მინერალს ინტერნეიშენალი
მმართველობითი ანგარიშგება და 2023
წლის საქმიანობის მიმოხილვა

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ელოს ენდ მინერალს ინტერნეიშენალი“ ს/ნ 405343294, კომპანია დაარსდა 2019 წლის 5 ივლისს და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად. ამჟამად ჰყავს 1 დამფუძნებელი რომელთა წილები შემდეგი პროპორციით არის გადანაწილებული:

წილის მესაკუთრე	წილი
თამაზ ალანია	100%

კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას ფეროშენადნობების წარმოებისთვის, ასევე მეტალურგიული ქარხნებისთვის საჭირო ნედლეულის შეძენა რეალიზაცია წარმოადგენს. საქონლის შეძენა-რეალიზაცია ხდება როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ. ნედლეულის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი თურქეთი, ალბანეთი, ჩინეთი.

კომპანია გეგმავს თავისი სავაჭრო პროდუქციის პორთფელის გაფართოებას, ისევე როგორც ახალი ბაზრების ათვისებას და შემოსავლების ზრდას.

ბოლო პერიოდში რეალიზაციის შემცირება გამოწვეული იყო ფეროშენადნობებზე ფასის მნიშვნელოვანი ვარდნით.

მომავალ პერიოდში იგეგმება ახალი მომწოდებლების და პროდუქციის მოძიება, მათთან თანამშრომლობის დამყარება და სხვადასხვა პოტენციურ მომხმარებლებზე საქონლის რეალიზაცია. კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა არის ეფექტური, მოქნილი და ამოცანებზე მისადაგებული, რათა მიღწეულ იქნას მდგრადი კონკურენტული უპირატესობა. სამუშაოს ორგანიზებისთვის გამოიყენება ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურა.

ჯგუფის მმართველობით ორგანოს წარმოადგენს საერთო კრება, ხოლო წარმომადგენლობით / ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი.

ყოველდღიური მართვის პროცესში ჩართულია ფინანსური და საოპერაციო ხელმძღვანელები, მათი მიზანია ხელი შეუწყონ კომპანიის მართვასა და განვითარებას, უზრუნველყონ პროექტების რეალური გეგმების არსებობა და მათი შესრულება ხარისხიანად.

კომპანიაში მუშაობს გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების გუნდი, რაც ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის საფუძველია.

ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური ანგარიშგების მიხედვით კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ანგარიშგების ფინანსურ კოეფიციენტები შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

	2023 წელი	2022 წელი
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	6.77	29.64
მთლიანი აქტივების კოეფიციენტი	1.30	1.89
აქტივების კაპიტალთან ფარდობა	7.86	8.08
საერთო მოგების ნორმა	0.07	0.19
გადასახადამდე მოგების ნორმა	(0.09)	0.15
აქტივების შემოს. კოეფიციენტი (ROA)	(0.13)	0.24
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.06	1.14
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.85	1.08
ნაღდი ფულის კოეფიციენტი	0.06	0.21

აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არა ფინანსური მაჩვენებლები

სამუშაო გარემო

კომპანიამ განსაზღვრა, უზრუნველყო და ინარჩუნებს სამუშაო გარემოს, რომელიც აუცილებელია პროცესების მიმდინარეობისა და მომსახურების შესაბამისობისათვის დადგენილ მოთხოვნებთან. სამუშაო გარემოში იგულისხმება ადამიანური და ფიზიკური ფაქტორების კომბინაცია,

ნარჩენების განთავსება და გარემოს დაცვა

კომპანია პასუხისმგებლობით ეკიდება გარემოს დაცვის საკითხებს. ნარჩენების მართვა ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების მიხედვით. ამასთან კომპანია ავალდებულებს მის კონტრაქტორ კომპანიებს გაითვალისწინონ გარემოს დაცვითი და ნარჩენების მართვის საკითხები, რათა არ მოხდეს გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლო რისკების წარმოადგენს:

- ✓ ნედლეულზე ფასების ცვლილება;
- ✓ ბაზარზე მოთხოვნის შემცირება;

- ✓ მსოფლიოში მიმდინარე სხვადასხვა პროცესების გამო გარკვეულ ქვეყნებში შეზღუდვების და სანქციების შემოღება;
- ✓ ლარის კურსის ცვლილებები.

საწარმოს წინაშე არსებული რისკების პრევენციის მიზნით კომპანიაში მიმდინარეობს აღნიშნული რისკების მუდმივი მონიტორინგი, რათა მყისიერად მოხდეს მათი თავიდან აცილების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას საწარმო რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ კომპანია არ დგას რაიმე ტიპის მნიშვნელოვანი რისკის წინაშე.

მენეჯმენტი რეგულარულად აფასებს სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილების სავარაუდო პროცენტული მაჩვენებლის გავლენას კომპანიის მოგებაზარალზე. ამ ეტაპზე დანახარჯებისა და მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინებით არ ვიყენებთ რაიმე ტიპის ფინანსურ ინსტრუმენტს აღნიშნული რისკის შესამცირებლად

შპს „ელის ენდ მინერალს ინტერნეიშნალი“

თამაზ ალანია
დირექტორი

2024 წელი, თბილისი, საქართველო

- ✓ მსოფლიოში მიმდინარე სხვადასხვა პროცესების გამო გარკვეულ ქვეყნებში შეზღუდვების და სანქციების შემოღება;
- ✓ ლარის კურსის ცვლილებები.

საწარმოს წინაშე არსებული რისკების პრევენციის მიზნით კომპანიაში მიმდინარეობს აღნიშნული რისკების მუდმივი მონიტორინგი, რათა მყისიერად მოხდეს მათი თავიდან აცილების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას საწარმო რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ კომპანია არ დგას რაიმე ტიპის მნიშვნელოვანი რისკის წინაშე.

მენეჯმენტი რეგულარულად აფასებს სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილების სავარაუდო პროცენტული მაჩვენებლის გავლენას კომპანიის მოგებაზარალზე. ამ ეტაპზე დანახარჯებისა და მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინებით არ ვიყენებთ რაიმე ტიპის ფინანსურ ინსტრუმენტს აღნიშნული რისკის შესამცირებლად

შპს „ელლის ენდ მინერალს ინტერნეიშნალი“

თამაზ ალანია
დირექტორი

2024 წელი, თბილისი, საქართველო

